ხელშეკრულება # 2023/10/053
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **17 თებერვალი, 2023 წ.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის **ლანა ჯიბლაძის** სახით და **შ.პ.ს „ქლინ-ლაინს"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **გოჩა ფაღავას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა სააგენტოს SMP230000489 მიმართვაზე სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს"თავმჯდომარის 2023 წლის 16 თებერვლის N529 განკარგულების, საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგიმნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: დანართი N1-ით განსაზღვრული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სათავო ოფისის შენობის დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების მომსახურების შესყიდვა (**CPV-90911200)**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის მიხედვით (დანართი N1) და შეადგენს **31275 (ოცდათერთმეტიათას ორასსამოცდათხუთმეტი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია**:**

ა) 2023 წლის 20 თებერვლიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დანართი #1-ით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) გაწეულ მომსახურებაში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი წუნის თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან უახლოეს მომავალში (არაუმეტეს ერთი საათი) საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ხარვეზი.

გ) უზრუნველყოს, მომსახურების გაწევის პროცესში, შემსყიდველის ინვენტარის ან შენობის (შუშის ტიხარი, მინა და ა. შ) დაზიანებით, შემსყიდველისთვის ან/და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საკუთარი ხარჯით, ასეთი ფაქტის დადგომიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

დ) ტექნიკური დავალების 2.7 პუნქტით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური საქონლის ნიმუშები წინასწარ მომსახურების გაწევის დაწყებამდე უნდა იქნას წარმოდგენილი და შეთანხმებული შემსყიდველთან წერილობითი ფორმით.

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია**:**

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება**;**

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები**.**

5.ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება**,** რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებისდროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი - ნინო ტატიშვილი, ხოლო მის არყოფნის შემთხვევაში ამავე სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომელი/თანამშრომლები.

5.3 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველს უფლება აქვს ჩართოს ინსპექტირების პროცესში სხვა პირები.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის წარმომადგენლის თანდასწრებით ან მის გარეშე შეამოწმოს მიმწოდებელი მოულოდნელად ან/და გეგმიურად და აღნიშნულის თაობაზე შეადგინოს შესაბამისი შემოწმების აქტი/რეპორტი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება მხარეთა შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, წერილობითი სახით, დადებითი დასკვნის მქონე ინსპექტირების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

7.2. მიმწოდებელს აუნაზღაურდება განხორციელებულ მომსახურების ღირებულება, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ არ არის დღგ–ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემდეგ, მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს**,** რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება**,** ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის**,** მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ**.** შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით**.**

8.2. იმ შემთხვევაში**,** თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე**,** ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით**,** ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად**.**

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, დანართი N1 - ტექნიკური დავალებით განსაზღვრული თითოეული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ დარღვეულ პუნქტზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვისშეტყობინებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარგაუთვალისწინებელი ხასიათი.

ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
შესყიდვების სამსახურის უფროსის
ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,
სახაზინო კოდი: 707427078
სკ - 202238621

მიმწოდებელი:
შ.პ.ს „ქლინ-ლაინს“,
წარმოდგენილი დირექტორის
გოჩა ფაღავას სახით,
მისამართი: საქართველო , ხელვაჩაური, ს. ყოროლისთავი მე-8 ქ. №4.
ტელ: 593009693
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE18BG0000000131140606GEL,
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ – 448401685

Gocha Pagava 61006076290

Digitally signed by Gocha Pagava
Date: 2023.02.17 12:29:28

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2023 წლის 17 თებერვალი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სათაო ოფისის შენობის დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შ.პ.ს „ქლინ-ლაინს"-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შესყიდვების სამსახურის უფროსი - ლანა ჯიბლაძე

			დანართი N1
ფასების ცხრილი			
N	მომსახურების დასახელება	მომსახურების პერიოდი	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ახალი სათავო ოფისის ყოველრღიური დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ტექნიკური დავალების შესაბამისად	(20/02/2023 - 28/02/2023)	7607
2		(01/03/2023 - 31/03/2023)	23668
			31275

ტექნიკური დავალება

1. დასასუფთავებელი ფართობის ზოგადი აღწერილობა:

ობიექტი	ობიექტის დახასიათება
შენობის ფართები, ეზოს და პარკინგის მიხედვით	მომსახურების საერთო ფართი- არაუმეტეს 14 500 კვ.მ; სართულის საშუალო ფართი-870 კვმ, ეზო-2373.7კვმ, შიდა პარკინგი-827 კვმ.
შენობაში დასაქმებული თანამშრომლების საერთო მიახლოებითი რაოდენობა	არაუმეტეს 1000-1250 თანამშრომელი
შენობაში არსებული იატაკის განსხვავებული ზედაპირების ფართი	კერამოგრანიტი- არაუმეტეს 3100კვ/მ, ლამინატი - არაუმეტეს 6425 კვ/მ, პოლიმერული იატაკი-არაუმეტეს 3800 კვ/მ, რბილი იატაკი-არაუმეტეს 400 კვ/მ.
სველი წერტილების ოდენობა-უნიტაზი	არაუმეტეს 39 ც სველი წერტილი, დუშკაბინა 4 ც, უნიტაზი 61 ც, ხელსაბანი 39 ც.
შენობაში არსებული ვიტრაჟული მინების და ფანჯრების საერთი ფართი და რაოდენობა	საერთო ფართი: არაუმეტეს 2147კვ/მ, მათ შორის ფანჯარა- 256 ც.

2. გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

2.1. შენობა-ნაგებობის შიდა ტერიტორიის მოვლა-დასუფთავება:		
№	**გასაწევი მომსახურების აღწერილობა**	**გრაფიკი**
	საოფისე ოთახების, შეხვედრების ოთახების, სამზარეულოების, დერეფნების, მიმდებარე კიბის უჯრედების ა.შ. დასუფთავება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
	თხევადი საპნითა და ქაღალდით დისპენსერების მომარაგება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან გამომდინარე.
	გენერალური დასუფთავება	
	გენერალური დასუფთავება ყველა ფართის ოფისების ჩათვლით, მაგიდების, სკამების, საოფისე ტექნიკის, სხვადასხვა ინვენტარისა და აღჭურვილობის, თაროების ა.შ.	თვეში ერთხელ საჭიროებისამებრ
	მტვერსასრუტით დასუფთავება და ყველანაირი ზედაპირის იატაკის გაწმენდა	თვეში ერთხელ საჭიროებისამებრ
	შენობაში არსებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფარდა-ჟალუზების წმენდა	თვეში ერთხელ საჭიროებისამებრ

	მიმღების, შემოსასვლელების დასუფთავება	
	მისაღების ფოიეს დასუფთავება, მაგიდების წმენდა და სტენდების დასუფთავება	ყოველდღიურად (დილით სამუშაო საათების დაწყებამდე ან საღამოს სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, უამინდობის, ნალექის დროს მუდმივი მორიგეობა სამუშაო საათებში.

	სანაგვე ურნების დაცლა/დასუფთავება, მასში განთავსებული სპეციალური ნაგვის ცელოფნის გამოცვლა	ყოველდღიურად/სისტემატიურად საჭიროებისამებრ
	საოფისე ფართის დასუფთავება	
	თანამშრომლების სამუშაო ოთახების (მათ შორის გასახდელი ოთახების) და მასში განთავსებული ავეჯის, ინვენტარის და აპარატურის დასუფთავება	ყოველდღიურად (დილით სამუშაოდაწყებამდე ან საღამოს სამუშაოს დასრულების შემდგომ) და საჭიროებისამებრ
	კომპიუტერული მოწობილობისა და ყველანაირიტექნიკის წმენდა/დასუფთავება	ყოველდღიურად (დილით, სამუშაოს დაწყებამდე) და საჭიროებისამებრ
	სანაგვე ურნების დაცლა/დასუფთავება, მასში განთავსებული სპეციალური ნაგვის ცელოფნის გამოცვლა	ყოველდღიურად (დილით სამუშაო საათების დაწყებამდე ან საღამოს სამუშაო საათების დასრულების, საჭიროებისამებრ.
G	**საპირფარეშოების დასუფთავება**	
	საპირფარეშოების დასუფთავება, სარკეების, პისუარების, ხელსაბანების, სანაგვე ურნების, კედლების, კარების, ტიხრების, ჭერის და სხვა წმენდა; სანაგვე ურნების დეზინფექცია, უნიტაზის ჯაგრისის საჭიროების შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან გამომდინარე.
	საპირფარეშოს ქაღალდების შეცვლა/განახლება, დისპენსერების, სასაპნეების შესაბამისი სახარჯი მასალით შევსება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატიურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
G	**ფანჯრების/მინების წმენდა**	
	შენობაში არსებული მინების, გარე ფასადის 3 მეტრის სიმაღლეზე და მინისებრი ზედაპირის ორმხრივი წმენდა	კვირაში არანაკლებ 2-ჯერ (დილით, სამუშაო საათების დაწყებამდე) და საჭიროებისამებრ წარმოშობილი დაბინძურების დაუყონებლივ აღმოფხვრისთვის
	შენობაში არსებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფარდა-ჟალუზების წმენდა	თვეში ერთხელ და საჭიროებისამებრ
G	**დამატებითი დასუფთავება**	
	სავენტილიაციო ცხაურების წმენდა	კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ
	ყველანაირი სანათების წმენდა	კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ
	ფოიეს, დერეფნების დასუფთავება	
	დერეფნების იატაკი (სველი და მშრალი წმენდა)	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან
	ექსტერიერისა და ინტერიერის მინების წმენდა	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
	მტვერსასრუტით დასუფთავება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან
	ტყავის სავარძლების წმენდა/დასუფთავება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
	ოფისის და თანამშრომლების ოთახების დასუფთავება	
	თანამშრომლების სამუშაო ოთახების (მათ შორის გასახდელი ოთახების) და მასში განთავსებული ავეჯის, ინვენტარის და აპარატურის დასუფთავება	ყოველდღიურად (დილით სამუშაო საათების დაწყებამდე ან საღამოს სამუშაო საათების დასრულების შემდგომ) და საჭიროებისამებრ
	კომპიუტერული მოწობილობისა და ყველანაირი ტექნიკის წმენდა/დასუფთავება	ყოველდღიურად (დილით, სამუშაო საათების დაწყებამდე) და საჭიროებისამებრ

	ხალიჩების გაწმენდა, რბილი იატაკის წმენდა/ დასუფთავება	ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ
	საპირფარეშოების, ხელსაბანების, პისუარების, უნიტაზების, სამზარეულოების და მათში განთავსებული ავეჯისა და ტექნიკის წმენდა/დასუფთავება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატიურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
	სანაგვე ურნების დაცლა/დასუფთავება, მასში განთავსებული სპეციალური ნაგვის ცელოფნის გამოცვლა	ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ
	სანათების წმენდა	კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ
	იატაკების წმენდა და დასუფთავება	კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ
	მტვერის, ჭუჭყისა და ლაქების მოცილება ყველანაირი ზედაპირისგან	ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ
	ტყავის სავარძლების წმენდა/დასუფთავება	კვირაში ერთხელ და საჭიროებისამებრ
	საპირფარეშოების დასუფთავება	
	უნიტაზების, პისუარების დასუფთავება/წმენდა ა.შ.	ყოველდღიურად (მინიმუმ 5-ჯერ დღეში) და საჭიროებისამებრ
	იატაკის წმენდა, დასუფთავება	ყოველდღიურად (მინიმუმ 5-ჯერ დღეში) და საჭიროებისამებრ
	ხელსაბანებისა და სარკეები დასუფთავება	ყოველდღიურად (მინიმუმ 5-ჯერ დღეში) და საჭიროებისამებრ
	კედლების წმენდა	კვირაში არანაკლებ 3-ჯერ და საჭიროებისამებრ
	საპირფარეშოს ქაღალდების, დისპენსერების, სასაპნეების შესაბამისი სახარჯი მასალით შევსება	ყოველდღიურად (დღის განმავლობაში სისტემატიურად) და საჭიროებიდან გამომდინარე
2.2. შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავება:		
	შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზონების, ნარგავების მოვლა/პატრონობა ყოველდღიური დასუფთავება, ნაგვის გატანა, შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იატაკის დასუფთავება, ლაქების მოცილება, საღეჭი რეზინებისა და სხვა სახის დამაბინძურებელი ელემენტების აღმოფხვრა. სისუფთავის კონტროლი მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტერიტორიაზე არსებული წყალშემკრები არხების, წყალსაწრეტი მილების გაწმენდა, დანაგვიანების აღმოფხვრა საკუთარი ძალებით და სახსრებით.	ყოველდღიურად და საჭიროებისამებრ გამოყოფილი უნდა იყოს მინიმუმ 1 (ერთი) თანამშრომელი - კვალიფიციური მებაღე ყოველდღიურად გამოყოფილი უნდა იყოს მინიმუმ 1 (ერთი) თანამშრომელი.
	შენობა-ნაგებობის გარე და შიდა პერიმეტრზე განთავსებული სანათი საშუალებების წმენდა	თვეში ერთხელ და საჭიროებისამებრ
2.3. შენობა-ნაგებობის შემინული ფასადისა და ფანჯრების სრული წმენდა		
	ტალახის, მტვრის, ლაქების მოშორება შენობის შემინული ფასადის ზედაპირიდან, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს შენობის ფასადის რელიეფი, სიმაღლე და მომსახურების გაწევა უზრუნველყოს სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით,	მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველთან შეთანხმებით. შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

	თანამედროვე უსაფრთხო ტექნიკური საშუალებებისა და აქსესუარების, საჭიროების შემთხვევაში სპეციალური ტექნიკის გამოყენებით. შემინული ფასადის წმენდა უნდა განხორციელდეს როგორც გარედან ასევე შიგნიდან.	
პირველი სართულის გარე ფასადის წმენდა		თვეში ერთხელ და საჭიროების მიხედვით

2.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დასასუფთავებელი ფართობის სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების განხორციელება, კერძოდ:

- სველი წერტილების დეზინფექცია - თვეში არანაკლებ ერთხელ და საჭიროებისამებრ, შემსყიდველთან შეთანხმებით;
- დეზინსექცია - თვეში არანაკლებ ერთხელ და საჭიროებისამებრ, შემსყიდველთან შეთანხმებით;
- დერატიზაცია - სამუშაო ოთახები, სარდაფები, საკუჭნაოები, დერეფანი, კიბის ტიხარი, აივნები, ავტოსადგომი, სხვა დამხმარე სათავსოები, თვეში არანაკლებ ერთხელ და საჭიროებისამებრ, შემსყიდველთან შეთანხმებით.
- მიმწოდებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დასუფთავების საკითხებს პანდემიისას. ასეთ შემთხვევაში, არანაკლებ ერთხელ მან უნდა განახორციელოს „ბიო დასუფთავება“, რაც გულისხმობს სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებას და ფილტრებიანი მტვერსასრუტით იმ ზედაპირების გაწმენდას, რომლის გადარეცხვა შეუძლებელია.

შენიშვნა: *მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მეთოდიკისა და ინსტრუქციების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია კორონა ვირუსის საწინააღმდეგო სადეზინფექციო ხსნარით დამუშავების უზრუნველყოფა განახორციელოს მთელი მომსახურების პერიოდზე რეკომენდაციების შესაბამისად.*

2.3. სამუშაო განრიგი და პერსონალი

- მომსახურების გაწევისას არ უნდა შეფერხდეს შენობაში მიმდინარე სამუშაო პროცესი.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყოველდღიურად მორიგე დამლაგებლების გამოყოფა, რომლებიც სამუშაო საათებში მუდმივად იმყოფებიან ობიექტზე და ოპერატიულად აღმოფხვრიან ნებისმიერი სახის დაბინძურებას, შემდეგი გრაფიკით:
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დროის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდგომ 1-იდან მე 12 სართულის ჩათვლით, თითოეულ სართულზე არანაკლებ 2-2 დიასახლისი, საპირფრეშოების გარდა.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დროის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდგომ -1 0 სართულზე არანაკლებ 1 დიასახლისი საპირფრეშოების გარდა.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დროის მანძილზე 9:00-დან 19:00 საათამდე, არანაკლებ 4 მორიგე დიასახლისი.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დროის მანძილზე 9:00-დან 19:00 საათამდე, არანაკლებ 3 საპირფარეშოს მორიგე დიასახლისი.
- შაბათ-კვირას საოფისე ფართის არანაკლებ 1 მორიგე დისახლისი და 1 საპირფარეშოს მორიგე დიასახლისი.
- თითოეული თანამშრომლის დარიცხული თანამდებობრივი სარგო უნდა იყოს არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარი;
- მომსახურების მიმწოდებლის პერსონალის სამუშაო გრაფიკი შეთანხმებულ უნდა იყოს შემსყიდველთან.
- მიმწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა მოახდინოს ადეკვატური ზედამხედველობა და ხარისხის შენარჩუნება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. ასევე წარმოადგინოს მომსახურების მასშტაბის შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალი.
- მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მთავარი წარმომადგენელი და უფლებამოსილი პირი/პირები , მენეჯერი/მენეჯერები, რომელიც შემსყიდველისგან მიიღებს მითითებებს და რომელიც დილის 9:00 საათიდან 19:00 საათამდე უნდა იმყოფებოდეს ობიექტზე. ასევე, მიაწოდოს შემსყიდველს საკონტაქტო პირის ნომერი სასწრაფო/არა სამუშაო საათებში გამოძახებისათვის, შაბათ-კვირას საჭიროების შემთხვევაში არანაკლებ ერთი უფლებამოსილი პირი/ მენეჯერი;

- მიმწოდებელმა უნდა გააცნოს ხელშეკრულების ყველა შესაბამისი პუნქტი დასაქმებულებს;
- მიმწოდებელმა უნდა წარმოადინოს სახელი/გვარი და ტელეფონის ნომრები პერსონალისა, ვინც მომსახურების გაწევას უშუალოდ განახორციელებს;
- პერსონალს ეკრძალება ალკოჰოლური სასმელების შენახვა/მოხმარება შენობაში;
- მომსახურე პერსონალს უნდა ეცვას სპეციალური უნიფორმები, რომელთა ფერი შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველთან;
- შენობა მთლიანად არის არამწეველთა ზონა, ამიტომ პერსონალი უნდა დაემორჩილოს ამ მოთხოვნას.
- მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს და განათავსოს საპირფარეშოებში საპირფარეშოს დასუფთავების გრაფიკი (გათვალისწინებილი უნდა იყოს დასუფთავება არანაკლებ ყოველ ერთ საათში);

  საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების შემთხვევაში (მაგალითად: კოვიდ 19-ის პანდემიის დროს და სხვა) უზრუნველყოს თანამშრომლების ტრანსპორტირება საცხოვრებელი ადგილიდან - სამუშაო ადგილამდე (ქ. თბილისი, გორგასლის 22.

2.4. უსაფრთხოება

- შენობაში არსებული ოთახების გასაღებები უნდა ინახებოდეს მიმწოდებლის ოთახში, მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ სპეციალურ გასაღებების შემნახველ საკეტიან ყუთში,, რომელზეც წვდომა უნდა ჰქონდეს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილ პირებს/სამსახურებს.
- გასაღების დაკარგის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემსყიდველს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ყველა გასაღები დაუბრუნდეს შემსყიდველს.

2.5. შესანახი ფართი

- შემსყიდველი მიმწოდებელს უზრუნველყოფს ფართით დასუფთავებისთვის საჭირო აღჭურვილობის შესანახად. შენახვა კი უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების, მოწამვლის და აალების საწინააღმდეგო შესაბამისი წესების დაცვით.

2.6. მომსახურების გაწევის ინსპექტირება

- შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის წარმომადგენლის თანდასწრებით ან მის გარეშე შეამოწმოს მიმწოდებელი მოულოდნელად ან/და გეგმიურად და აღნიშნულის თაობაზე შეადგინოს შესაბამისი შემოწმების აქტი/რეპორტი.

2.7. დასუფთავების სხვა მოთხოვნები და დასუფთავების აღჭურვილობა

- არასაყოფაცხოვრებო , პროფესიონალური ქიმიური საშუალებები, მათ შორის კონცენტრატები და მათი გაზავებიასათვის საჭირო დოზატორები . აუცილებელია TUV, ISO , Ecolabel-ის ან მინიმუმ 2 საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა.
- ქაღალდის ხელსახოცი. აუცილებელია TUV, ISO , ISEGA ან მინიმუმ 2 საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა. აუცილებელია ერთ-ერთი სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქტი არ შეიცავს ქლორს, ან ქაღალდის კვების პროდუქტებთან შეხების ერთიფიკატი. აუცილებელია ქარხნულად დატანილი ზუსტი ზომები არანაკლებ და არაუმეტეს ±5სმ ცდომილებით. შეფუთვაზე (ანოტაციაზე უნდა იყოს სიგრძე, სიგანე, ფენების რაოდენობა). ქაღალდის სტრუქტურა უნდა იყოს მჭიდრო და მდგრადი, უნდა გამოირჩეოდეს მაღალი შეწოვადობით. როგორც მაღალი გამავლობის ობიექტისათვის სასურველია რულონის სიგრძე არანაკლებ 150 და არაუმეტეს 300 მეტრისა
- საპირფარეშოს ქაღალდი. აუცილებელია TUV, ISO ან მინიმუმ 2 საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა. აუცილებელია ქარხნულად დატანილი ზუსტი ზომები შეფუთვაზე (ანოტაციაზე უნდა იყოს სიგრძე, სიგანე , ფენების რაოდენობა). ქაღალდის სტრუქტურა უნდა იყოს მჭიდრო და მდგრადი. როგორც მაღალი გამავლობის ობიექტისათვის, სასურველია რულონის სიგრძე არანაკლებ 150 და არაუმეტეს 550 მეტრისა.
- თხევადი საპონი . აუცილებელია TUV, ISO , Ecolabel-ის ან მინიმუმ 2 საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა. ბლანტი, მაღალი კონცენტრაციის მქონე, ადვილად აქაფებადი, სასიამოვნო ნეიტრალური არომატით. pH 5,5-დან 8-მდე.

- უნდა დამონტაჟდეს საპირფარეშოებში ქაღალდის ხელსახოცის რულონის მექანიკური ან სენსორული დისპენსერი (42 ერთეული), მაღალი ხარისხის, მტკიცე პლასტიკის ან ლითონის კორპუსით (დარტყმაგამძლე), მეტალის გასაღებით და ჩამკეტით, თანამედროვე დიზაინის. უპირატესობა მიენიჭება მცირე გაბარიტულ ზომას, ქაღალდის ფიქსირებული ზომით უკონტაქტო მოხევას (არაუმეტეს 25სმ) . აუცილებელია ფერის შერჩევის შესაძლებლობა, მუშაობის გარანტია არანაკლებ 3 წელი, უნდა გააჩნდეს სახანძრო უსაფრთხოების სერთიფიკატი.
- უნდა დამონტაჟდეს ტუალეტის ქაღალდის დისპენსერი (დიდი ზომის რულონისათვის, 66 ერთეული) მაღალი ხარისხის, მტკიცე პლასტიკის კორპუსით (დარტყმაგამძლე), მეტალის გასაღებით და ჩამკეტით, თანამედროვე დიზაინის, უნდა გააჩნდეს ზედმეტი ხარჯვისგან დამცავი სისტემა(ფიქსატორი), აუცილებელია ფერის შერჩევის შესაძლებლობა, უნდა გააჩნდეს სახანძრო უსაფრთხოების სერთიფიკატი.
- უნდა დამონტაჟდეს საპირფარეშოებში თხევადი საპნის დისპენსერი (42 ერთეული) არანაკლებ 1000მლ–ანი მოცულობის, მაღალი ხარისხის, მტკიცე პლასტიკის კორპუსით (დარტყმაგამძლე), მეტალის გასაღებით და მეტალის ჩამკეტით, თანამედროვე დიზაინის. ჩამოსხმის ზუსტი დოზირებით (არაუმეტეს 1 მლ–იანი ზუსტი დოზირებით), აუცილებელია ფერის შერჩევის შესაძლებლობა, არანაკლებ 750 მლ და არაუმეტეს 1000 მლ–იანი კარტრიჯებისათვის, უნდა გააჩნდეს სახანძრო უსაფრთხოების სერთიფიკატი.
- სამზარეულოში უნდა დამონტაჟდეს ჭურჭლის სარეცხი საშუალების დისპენსერი (8 ერთეული);
- სამზარეულოში უნდა დამონტაჟდეს ქაღალდის ხელსახოცის დისპენსერი (8 ერთეული);
- პროდუქციის ხარჯი მიმწოდებლის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში. ახალი მასალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ შემსყიდველის თანხმობის შემდეგ.
- მომსახურების გაწევა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი საშუალებებით - დასუფთავებისათვის საჭირო თანამედროვე ინსტრუმენტებითა და აქსესუარებით (საჭირო, სპეციალური, ძირითადი ტექნიკით. დალაგებისას უნდა გამოიყენებოდეს ამ სამუშაოსთვის აღჭურვილი სპეციალური ურიკები. გამოყენებული სახარჯი მასალები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და არ იყოს ჯანმრთელობისათვის საზიანო.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შენობაში არსებული 3 ერთეული ლიფტის ყოველდღიური დასუფთავება, ლიფტის კაბინების წმენდა შიგნიდან და გარედან. თვეში 2-ჯერ წმენდა უნდა განხორციელდეს სპეციალური, მაღალხარისხიანი, სურნელოვანი ხსნარით.
- მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში (სამუშაოების მიმდინარე პროცესების განმავლობაში) უნდა დადგას გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგ: „ფრთხილად, სველი იატაკია“ , „მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები“ და ა.შ.
- მიმწოდებელმა ყველა სველ წერტილებში უნდა დაამონტაჟოს ჰაერის ელექტრონული არომატიზატორი და უზრუნველყოს თანმდევი სერვისი (სახარჯი მასალების უწყვეტი შევსება). ჰაერის ელექტრონულ არომატიზატორს უნდა გააჩნდეს გაფრქვევის ინტერვალის (წუთებში), დროის (დღე/ღამე), განათების (შუქი/სიბნელე) დაპროგრამების საშუალება. როგორც დისპენსერი, ისე სახარჯი კარტრიჯები უნდა აკმაყოფილებდეს ISO სტანდარტს და უვნებელი იყოს ჯანმრთელობისთვის.

შენიშვნა: *პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დანიშნულების საქონლის ნიმუშები წინასწარ, მომსახურების გაწევის დაწყებამდე და შეათანხმოს შემსყიდველთან წერილობითი ფორმით, ხოლო მათი შეცვლა სხვა სახის საქონლით აუცილებლად უნდა იქნას შეთანხმებული შემსყიდველთან, ხარისხის გაუარესება დაუშვებელია.*

3. დასუფთავების სტანდარტები

მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთმოყვანილ სტანდარტებს:

3.1.სტანდარტები და შედეგები - რეგულარული ადმინისტრაციული დასუფთავების სერვისი
დასუფთავების სერვისები უნდა განხორციელდეს დასუფთავების ცხრილის შესაბამისად.

<u>ზოგადი სისუფთავე</u>

ა) ყველა სართულის კედლები, ფანჯრები, მინები, ვიტრაჟები (3 მეტრის სიმაღლემდე), ფარდები, ფარდა ჯალუზები, საჯარო განცხადებების დაფები, კარები, მაგიდები, სამუშაო მაგიდები, სკამები, სურათის ჩარჩოები, მოაჯირები და ყველა ავეჯიდან მოშორებული იქნება მტვერი, ჭუჭყი, ლაქა ა.შ.
ბ) ყველა შვერილიდან, რაფიდან და პლინტუსიდან მოშორებული იქნება მტვერი, აბლაბუდა ა.შ.;

გ) ყველა კედლისა და ჭერის კუთხიდან და ხვრელიდან მოშორებული იქნება მტვერი, აბლაბუდა ა.შ.; დ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

<u>სართულები</u>

ა) ყველა ხალიჩიანი ფართობი უნდა იყოს შესამჩნევად სუფთა და თავისუფალი ღრმა ჭუჭყისა და ლაქებისგან; ბ) ყველა სართულის იატაკი უნდა ბზინავდეს, ნაფეხურები არ უნდა ემჩნეოდეს და არ უნდა სრიალებდეს;

გ) ყველა ბეტონის და მეტლახის იატაკი უნდა იყოს შესამჩნევად სუფთა, სადაც საჭიროა სადეზინფექციო ხსნარით მოწმენდილი;

დ) მტვერსასრუტით გაწმენდილი იქნება ყველა კუთხე, ხალიჩის ნაპირი და ავეჯის ქვემოთ მოქცეული იატაკი;

ე) ყველა სხვა ზედაპირი უნდა იყოს საგულდაგულოდ გაწმენდილი, როგორიცაა: ხელსაბანი ნიჟარა, წყლის დისპენსერები, სამზარეულოს მოწყობილობები ა.შ. ვ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

<u>ნარჩენები</u>

ა) ნარჩენები შეგროვებული უნდა იყოს სპეციალურ სანაგვე პარკებში, რომლებიც რეგულარულად გადაიყრება შესაბამის სანაგვე ურნებში.

ბ) ყველა სანაგვე ყუთი უნდა იყოს დაცლილი, ნარჩენები გადაყრილი და საჭიროებისამებრ ყუთი (მასში განთავსებული სპეციალური ნაგვის ცელოფანი) გამოცვლილი; გ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

<u>სამზარეულო</u>

ა) ყველა გასარეცხი ჭურჭელი, რაც ნიჟარაში იქნება დატოვებული უნდა გაირეცხოს, გამშრალდეს და განთავსდეს კარადაში.

ბ) სამზარეულოს შესაბამისი ინვენტარის (ავეჯი, ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა) უნდა იყოს დაწმენდილ- დასუფთავებული. უნდა კონტროლდებოდეს სისუფთავე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. სასადილო ოთახები აღჭურვილი უნდა იყოს ხელის საწმენდი ქაღალდის რულონებით და ხორციელდებოდეს მათი საჭიროებისამებრ განახლება. გ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

<u>საპირფარეშოები</u>

ა) ყველა საპირფარეშოს მოწყობილობა, როგორიცაა ხელსაბანი, უჟანგავი ზედაპირები, უნიტაზები, სარკეები უნდა იყოს დაწმენდილი და გაკეთებული უნდა იყოს დეზინფექცია;

ბ) ყველა საპირფარეშოს კაფელი, გამყოფი კედლები, იატაკი უნდა იყოს სუფთა და დეზინფექცირებული;

გ) მუდმივად ხდებოდეს გახარჯული ტუალეტის ქაღალდის და ხელის თხევადი საპონის შევსება/განახლება.

დ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

<u>კომპიუტერები და ოფისი</u>

ა) ყველა კომპიუტერული მოწყობილობა და ტექნიკა უნდა იყოს გაწმენდილი მშრალი ტილოთი/სპეციალური გამწმენდი საშუალებით;

ბ) ტელეფონები გაწმენდილი უნდა იყოს სპირტიანი ტილოთი ან მსგავსი შემცველობის სითხით;

გ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დასუფთავების სერვისი წარმოდგენილია როგორც სახელმძღვანელო და შეიძლება ყველა შემთხვევას არ მიესადაგოს. იმ დროს როცა გამოვლენილია დასუფთავების შენარჩუნების პროგრამის ყველა ასპექტი, ყველა გამორჩენილი და თვალშისაცემი გამონაკლისი უნდა ჩაითვალოს „ზოგადი დასუფთავების“ მოთხოვნაში შემავალ სერვისად.

3.2. სტანდარტები და შედეგები - ყოველდღიური სტანდარტული დასუფთავების სერვისები ა) რეგულარული გაწმენდითი სერვისები უნდა ჩატარდეს იატაკიდან არანაკლებ 3 მეტრამდე;

ბ) შიდა ზედაპირები შემდეგი მოწყობილობების: მიკროტალღური ღუმელი, ღუმელი, ელ.ჩაიდანი, მაცივარი და სხვა უნდა იყოს გაწმენდილი საჭიროებისამებრ;

3.3.სტანდარტები და შედეგები - ყოველკვირეული დასუფთავების სტანდარტები გარდა ყოველდღიური სამუშაოებისა, უნდა ჩატარდეს შემდეგი ყოველკვირეული სამუშაოები: ა) მტვრის მოშორება ჰაერის კონდიციონერებიდან; ბ) გაპრიალდეს იატაკი სპეციალური ხსნარით;
გ) გადაიწმინდოს მტვერი რთულად მისაწვდომი ადგილებიდან სპეციალური მტვრის შემგროვებელი ნაჭრით კვირის დაწყებმადე მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს კვირის რომელ დღეს უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას.

3.4.სტანდარტები და შედეგები - ყოველთვიური რეგულარული დასუფთავების სერვისი
ა) ყველა კონდინციონერის ჩაღრმავება, მილი, ჭერის ვენტილატორი გაწმენდილი უნდა იყოს მტვრისგან, აბლაბუდისგან, ჭუჭყისგან ყველა სართულზე;
ბ) გაიწმინდოს ყველა შიდა ფანჯარა და ელექტრო ნათურები.
გ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

მიმწოდებელს მოეთხოვება დაიწყოს და დაასრულოს „ყოველთვიური დასუფთავება“ ყოველი თვის პირველი კვირაში. მიმწოდებელმა დასუთავების დაწყების შესახებ 48 საათით ადრე უნდა გააფრთხილოს შემსყიდველი.

3.5.სტანდარტები და შედეგები - თვის ბოლოს (მოთხოვნის შესაბამისად) განსახორციელებელი დასუფთავების სერვისი ა) გაირეცხოს და დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს ყველა ნაგვის ურნას; ბ) გაწმენდილი უნდა იყოს ყველა დასადგამი თუ ჩამოსაკიდი სანათი; გ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

3.6.სტანდარტები და შედეგები - ფუნქციონალური დასუფთავება
დასუფთავების სერვისის ჩატარება სპეციალური სტუმრების ვიზიტისა და მაღალი რანგის თანამდებობის პირების შეხვედრების ჩატარების წინ. ამ დროს გაწეული უნდა იქნას როგორც სტანდარტული, ასევე დამატებითი მომსახურება ცხრილის შესაბამისად:

დამატებითი მოთხოვნები – პოსტ-ფუნქციონალური სერვისის შემდგომ	
მინა და მეტალის ზედაპირი	გაიწმინდოს მინის კარები; გაიწმინდოს ყველა გამყოფი მინა; გაიწმინდოს ყველა სახელური
ხალიჩიანი იატაკი	საგულდაგულოდ გაიწმინდოს მტვერსასრუტით; გაიწმინდოს ყველა ტალახიანი ან/და სხვა წარმოშობის ლაქი.
საპირფარეშოები დახელსაბანები	დაიცალოს და გაიწმინდოს სანაგვე ყუთები; გაიწმინდოს ყველა ნიჟარა, უნიტაზი და პისუარი და მოიწმინდოს იატაკი სასიამოვნო სურნელის მქონე ხსნარით; გაიწმინდოს სარკეები; გაიწმინდოს მეტალის ზედაპირები,კარები; შეივსოს საპონი და გამოიცვალოს ქაღალდის ხელსახოცები.
საკონფერენციო ოთახები და ფუშეტის შემდეგი მომსახურება	დაიცალოს და გაიწმინდოს სანაგვე ყუთი; გაიწმინდოს ყველა ჭიქა,თეფში ა.შ; გაიწმინდოს და გაპრიალდეს ჭურჭელი; გაიწმინდოს კედლები და კარები; მტვერსასრუტით გაიწმინდოს იატაკი; გაირეცხოს ნაჭრის ხელსახოცები, მაგიდის გადასაფარებლები ა.შ; ცარიელი ბოთლები და ნაგავი გადაიყაროს.

3.7. სტანდარტები და შედეგები - საჯარო ადგილების დასუფთავების სტანდარტები
ა) მოიწმინდოს შესასვლელი და საპირფარეშოში მისასვლელი გზები, დასუფთავდეს ტალახისგან;
ბ)გაიწმინდოს კედლები და კარები იატაკიდან არანაკლებ 3 მეტრის სიმაღლეზე;
გ) მოიგვას და სველი ტილოთი მოიწმინდოს ყველა სახის იატაკის ზედაპირი; დ) ნებისმიერი სახის ნაგავი, ნარჩენი მაშინვე გადაიყაროს სანაგვე ყუთებში;
ე) დაიცალოს ყველა სანაგვე ყუთი საპირფარეშოებში;
ვ) გაიწმინდოს და გაირეცხოს ყველა მოწყობილობა საპირფარეშოში: ტუალეტის ქაღალდის ჩამოსაკიდი, ქაღალდის ხელსახოცის ჩამოსაკიდი, ხელსაბანი, უნიტაზი, ყველა სარკე და ამრეკლავი ზედაპირი სადეზინფექციო საშუალებებით;

ზ) გაიწმინდოს კაფელი, ტუალეტის გამყოფი კედლები, იატაკი სადეზინფექციო საშუალებით; თ) შეცვალოს დაცლილი ხელსახოცები, ტუალეტის ქაღალდი საჭიროებისამებრ;
ი) შემოწმდეს რომ ყველა განათება, მოწყობილობა მუშაობდეს, ხოლო თუ არ მუშაობს ეცნობოს შემსყიდველს აღმოჩენიდან არაუგვიანეს 2 საათისა;
კ) ნებისმიერი შინაარსის წარწერის შესახებ ეცნობოს შემსყიდველს;
ლ) საპირფარეშოს შესასვლელთან დასუფთავების პროცესის დაწყებამდე შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა გამოიკრას, რომ მიმდინარეობს დასუფთავებითი სამუშაოები.
მ) ასევე სხვა სარეგლამენტო მომსახურება.

3.8. სტანდარტები და შედეგები - პერიოდული დასუფთავების სერვისები (საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე)
ა) ხალიჩის წმენდის მოთხოვნები: მიმწოდებელმა უნდა გაწმინდოს რბილი იატაკი, ისე როგორც ამას პირდაპირ შემსყიდველი დაავალებს (მაგ.: შამპუნირების ან ექსტრაქციის მეთოდით);
ბ) ასევე, სხვა სარეგლამენტო მომსახურება შემდეგი დეფინიციების და სტანდარტების შესაბამისად:

ავეჯი, ნივთები - სველი წმენდა	სველი ტილოთი წმენდის შემდეგ ყველა ზედაპირიდან მოშორებული უნდა იყოს მტვერი, ისე რომ ყველა ზედაპირი იყოს სუფთა, მშრალი და პრიალა.
წიგნის, ბაინდერების, საქაღალდეების თაროები/სტელაჟები	ყველა თაროდან მტვერი უნდა იყოს გადაწმენდილი, უნდა ქონდეს მოწესრიგებული შესახედაობა.
რბილი იატაკი - ლაქის წმენდა	ხალიჩის ლაქებისგან გაწმენდის შემდეგ ზედაპირზე არ უნდა იყოს ლაქა, ტალახი, სიბინძურე (საღეჭი რეზინის ლაქა, ფეხსაცმლის ნაკვალევი)
რბილი იატაკი - მტვერსასრუტით წმენდა	მტვერსასრუტით წმენდის შემდეგ, რბილ იატაკზე არ უნდა იყოს მტვერი, ლაქები, ნაგავი, ნამცეცები მთელს ზედაპირზე, ასევე კუთხეებში
სკამები - წმენდა, მტვერსასრუტით წმენდა	წმენდის შემდეგ სკამებზე არ უნდა იყოს მტვერი, ჭუჭყი, ლაქები ა.შ.
შამპუნირება	შამპუნირების შემდეგ ყველა ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, არ იყოს ლაქები, ჭუჭყი, მტვერი ა.შ.
ხელსაბანები	დასუფთავების დასრულებისას მთლიანი ზედაპირები უნდა იყოს თვალსაჩინოდ სუფთა ჭუჭყისგან და უნდა ტოვებდეს სისუფთავის აღქმას
შიდა კედლები, დერეფნები, ბეტონის ზედაპირები	მას შემდეგ რაც გაირეცხება, გამოიგვება და დასუფთავდება შიდა კედლები, დერეფნები და ბეტონის ზედაპირები, დასუფთავებული ფართობი უნდა იყოს თავისუფალი ჭუჭყისგან, აბლაბუდის ქსელისგან, გამჯდარი ტალახისგან, ნაგვისგან, ქვიშისგან და ზედაპირები უნდა იყოს უსაფრთხოდ მშრალი
იატაკი (ყველა სახის) - დაგვა	დაგვის შემდგომ, ყველანაირი ზედაპირის იატაკი უნდა იყოს სუფთა ხილული მტვრისგან, ტალახისაგან და ნაგვისგან. მტვერი, ტალახი, ნაგავი და მსგავსი ტიპის ნარჩენები უნდა იქნას გადაყრილი შესაბამის, სპეციალურ სანაგვე ურნებში
იატაკი (ვინილის, კერამიკული, კაფელი, კრამიტი, ბეტონი) - სველი შვაბრით წმენდა	სველი შვაბრით წმენდის დასრულების შემდგომ, იატაკის ზედაპირი უნდა იყოს სუფთა ლაქებისგან, საღეჭი რეზინებისგან, მტვრისგან და ჭუჭყისგან, განსაკუთრებით კუთხეებში და გადაბმის ადგილებში.

იატაკი (ვინილის, კერამიკული, კაფელი, კრამიტი, ბეტონი) - სპეცტექნიკით დამუშავება	სპეცტექნიკით დამუშავების შემდგომ იატაკის ზედაპირები უნდა იყოს თავისუფალი მტვრისგან, ჭუჭყისგან, ლაქებისგან, ტალახისგან (განსაკუთრებით კუთხეებში) ისე რომ ჰქონდეს სუფთა და ერთგვაროვანი შეხედულება
იატაკი (ვინილი) - მანქანით მოპრიალება	ზედაპირის სათანადო მოპრიალების შემდგომ უნდა იყოს ერთგვაროვნად გაპრიალებული მთელი ზედაპირის ფართობზე ნაკაწრებისა და ნაფხაჭნების გარეშე.
იატაკები (ვინილი) - მშრალი წმენდა	მას შემდეგ რაც მშრალი წმენდა დასრულდება, ყველა ვინილის იატაკის ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ყველანაირი დაბინძურებისგან, სხვა ნარჩენებისაგან და უნდა იყოს მოპრიალებული
იატაკები (ვინილი) - მოპრიალება	მოპრიალების შემდგომ, ყველა ვინილის ზედაპირი უნდა ბრწყინავდეს და იყოს იდეალურად სუფთა მდგომარეობაში
ფანჯრის ჩარჩოები, ტიხრები ა.შ.	ფანჯრის ჩარჩოების, ტიხრებისა და სხვა. გაწმენდის შემდგომ ისინი უნდა გამოიყურებდნენ სუფთად, უნდა ჰქონდეს მოცილებული მტვერი და ტალახი
მინა (ფაჯრები,ვიტრაჟები (3 მეტრის სიმაღლემდე), ტიხრები, კარები ა,შ,) ლაქების მოცილება	ლაქების მოცილების შემდგომ მინიდან, ტიხრებიდან ფანჯრებიდან და კარებიდან, ყველა ლაქა და ჭუჭყი უნდა იქნას მოცილებული, ისე რომ ზედაპირები დარჩეს დაულაქავი და იდეალურად სუფთა მდგომარეობაში
მინა (ფაჯრები,ვიტრაჟები (3 მეტრისსიმაღლემდე), ტიხრები, კარები ა,შ,) რეცხვა	მინის გარეცხვის შემდგომ ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალიჭუჭყისგან და ლაქებისაგან.
ცხაურები (კარებზე, გაგრილებისა და საცირკულაციო სისტემაზე, ვენტილიატორებზე და სხვა.)	გაწმენდის დასრულების შემდგომ, ყველა ცხაურის ტიპის ზედაპირი უნდა იყოს სუფთა ჭუჭყისგან, ნადებისაგან და ტალახისგან, ისე რომ ტოვებდეს ერთგვაროვნად სუფთა შესახედაობას.
ნაგვის სათლები -ურნები	ნაგვის სათლების-ურნების გასუფთავების შემდგომ ისინი უნდა გამოიყურებოდნენ სუფთად. არ უნდა იყოს მათში ჩატოვებული ნაგავი და ყოველი გამოცვლისას უნდა იყოს ჩაფენილი სპეციალური ნაგვის პარკები
კიბის საფეხურები	ყველა კიბე (საფეხურები) და საყრდენები უნდა იყოს თავისუფალი ხილული მტვრისგან, ჭუჭყისგან და ტალახისგან. მეტალის ყველა ზედაპირი იქნას გაწმენდილი და დამუშავებული სანიტარულად, რათა მოსცილდეს მტვერი, ჭუჭი და ბაქტერიები.
ზედაპირები - სველი ტილოთი წმენდა	სველი ტილოთი წმენდის შემდგომ, ზედაპირები უნდა იყოს თავისუფალი მტვრისაგან, ჭუჭყისგან (განსაკუთრებით კუთხეებში, ზედაპირების გადაბმა-შეერთების ადგილებში), რათა ტოვებდეს თანაბრად სუფთა შთაბეჭილებას და ჰქონდეს შესაბამისი იერსახე.
მაგიდები, კარადები, სკამები, დაფები ა.შ. სველი ტილოთი წმენდა	მაგიდების, კარადების, სკამებისა და დაფების გაწმენდის შემგოდმ ისინი სუფთა უნდა იყვნენ მტვრისაგან, ლაქებისაგან და უნდა ჰქონდეთ სუფთა შესახედაობა
საპირფარეშოში, უნიტაზებზე, ხელსაბანებზე, პისუარებზე და სხვა ნადების მოცილება	საპირფარეშოები, უნიტაზები, ხელსაბანები, პისუარები დასუფთავების შემდგომ სუფთა უნდა იყოს ნადებისაგან, მჟავისგან, სუნისგან, ბაქტერიებისგან, ჭუჭყისგან და ყველანაირი ვიზუალური დაბინძურებისაგან. დეზინფექციის შემდგომ ზემოთ ჩამოთვლილნი უნდა გამოიყურებოდნენ იდეალურად სუფთად.

საპირფარეშოს ტიხრები - წმენდა	საპირფარეშოს ტიხრებისა და კედლების დასუფთავების დასრულების შემდგომ ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ყველანირი მოცილებადი ნათითურების, მტვრისა და ჭუჭყისაგან, უნდა ჰქონდეს თანაბრად სუფთა შეხედულება.
უნიტაზები, ხელსაბანები - დასუფთავება და სანიტარია	დეზინფექციისა და დასუფთავების შემდგომ, უნიტაზები უნდა იყოს თავისუფალი ტალახისგან, სიბინძურისგან, ლაქებისა და ნათითურებისაგან, ჭუჭყისა და ბაქტერიებისაგან.
ლიფტი	ლიფტის კაბინა, გაწმენდის შემდგომ, უნდა იყოს თავისუფალი მტვრისგან, ლაქებისაგან, ნათითურებისაგან, ტალახისაგან ა.შ. ლიფტის კედლები, კარები და სარკე უნდა იყოს იდეალურად სუფთა მდგომარეობაში
კედლები - ლაქების მოშორება	ლაქების მოშორების შემდგომ, ყველა მოცილებადი სიბინძურე, ლაქა, ნიშანი და ჭუჭყი უნდა იქნას მოცილებული და ზედაპირი უნდა გამოიყურებოდეს ვიზუალურად სუფთად
ფანჯრები - წმენდა და მტვერსასრუტით დამუშავება.	ფანჯრების წმენდისა და მტვერსასრუტით გაწმენდის შემდგომ, ფანჯრის ღარები უნდა იყოს სუფთა მტვრისგან, ქვიშისგან, მკვდარი მწერებისგან და ნაგვისგან. ზედაპირი უნდა ტოვებდეს სუფთა და შეუდარებელ შეხედულებას.
ხის ავეჯი - პოლირება, დასუფთავება	პოლირების შემდგომ, ხის ავეჯი უნდა იყოს სუფთა მტვრისგან, ჭუჭყისგან, ნათითურებისგან და უნდა იყოს დაფარული სპეციალური დამცავი, ბზინვარე ხსნარით ხანგრძლივი დაცვის ეფექტით.

ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1
0114 თბილისი,საქართველო
+995 32 2 405 405
info@psh.gov.ge

სსიპ იუსტიციის სახლი

10 / თებერვალი / 2023 წ.

KA015552716305723

№ **816**

შპს "ქლინ-ლაინს"-ის
დირექტორს,
ბატონ გოჩა ფაღავას

ბატონო გოჩა,

თქვენი, 2023 წლის 10 თებერვლის № 2111 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ „იუსტიციის სახლსა“ და შპს „ქლინ-ლაინს“ შორის 2022 წლის 27 იანვარს გაფორმებული NAT 02-035/22 ხელშეკრულების საფუძველზე (ხელშეკრულების თანხა შეადგენს 113 525.00 ლარს, საერთო ფართი შეადგენს 10 702 კვ.მ, მოქმედების ვადა 01.02.2022 – 31.12.2022წ.) შპს „ქლინ-ლაინი“ სსიპ "იუსტიციის სახლის" - ბათუმისა და ოზურგეთის ფილიალებში ახორციელებდა შენობების შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებასა და სანიტარულ მომსახურებას.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ქლინ-ლაინს"-ი მომსახურებას ახორციელებდა კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

პატივისცემით,

სსიპ იუსტიციის სახლის თავმჯდომარის
მოადგილე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ კოხრეიძე